ოქმი:ო63. 63263012
თარიღი:28/10/2026

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის გასვლითი სხდომის

ო ქ მ ი N15

19 ოქტომბერი. 2026 წელი.

12 საათი.

მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ჯონი თევზაძის თავმჯდომარეობით, ჩატარდა განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის გასვლითი სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ჯონი თევზაძე, გიორგი მეიშვილი, ირაკლი მელაშვილი, პაატა კოხრეიძე, ტარიელ დვალიშვილი,მაია ტალაბაძე, ლაშა მუქერია, მარიამ ცომაია, ქიშვარდი ღაღანიძე,მერაბ თევზაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

1. მერის წარმომადგენელი გომის ადმინისტრაციულ ერთეულში - ზაზა ნიკოლეიშვილი.

2. სოფელ კორმაღალის 1-ელ ქუჩის მცხოვრებნი - ზოია კაცაძე, მანანა ამაღლობელი, შორენა გიორგაძე, რობერტი ჩხეიძე, მალხაზ თევზაძე, ემზარ ჯოჯუა..

დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალ სოფელ კორმაღალში 1-ელი ქუჩის სახელდების შესახებ.

/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (10 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის წევრთა (10ხმით) დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> მომხსენებელმა, ჯონი თევზაძემ, სოფელ კორმაღლის მცხოვრებლებს მოახსენა, რომ მათ მიერ შემოტანილი განცხადება, სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ განიხილა.

ჯონი თევზაძე - მოგახსენებთ, რომ გომის ადმინისტრაციულ ერთეულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელთან შემოვიდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კორმაღლის მცხოვრებთა განცხადება, რომლითაც ითხოვენ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კორმაღლის 1-ელ ქუჩას მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში გმირულად დაღუპული ლაშა თევზაძის სახელი.

მოგახსენებთ, რომ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის ყველა წევრი მხარს უჭერს ერთხმად ზემოაღნიშნულ საკითხს.

ყოველი გადაწყვეტილება, სახელდებასთან დაკავშირებით, ითვალისწინებს მოსახლეობასთან კონსულტაციას. შესაბამისად, ჩვენმა კომისიამ გადაწყვიტა ჩაეტარებინა გასვლითი სხდომა და მოსახლეობისთვის ეკითხა აზრი.

აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა და სოფელი კორმაღლის 1-ელი ქუჩის მცხოვრებლებმა.

ზოია გაცაძე - მოხარული ვიქნებით, თუ ჩვენს ქუჩას (1-ელ ქუჩას), მიენიჭება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში გმირულად დაღუპული ლაშა თევზაძის სახელი.

ჯონი თევზაძე - როგორც მოსახლეობასთან კონსულტაციით ირკვევა, სოფელ კორმაღლის მცხოვრებნი ეთანხმებით, რომ სოფელ კორმაღალში 1-ელ ქუჩას მიენიჭოს ლაშა თევზაძის სახელი. როგორც მოგეხსენებათ, ლაშა თევზაძის გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი, ამიტომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" № 239 დადგენილების მე-5 მუხლის „1“ - პუნქტის თანახმად, ამ წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

დაადგინეს: კომისიის წევრებმა კენჭისყრის შედეგად, (10 ხმით) მიიღეს გადაწყვეტილება, რომ რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ჯონი თევზაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი